საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი კერატიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

გიორგი კერატიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული, თავდაჭერილი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. ამასთან, კანდიდატს ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სახდელი არ დაჰკისრებია. მიშვნელოვანია, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლუნური დევნა არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ კოლეგებს შორის ის სარგებლობს კარგი რეპუტაციით. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	კანდიდატი კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდელობას. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული

			სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სფეროში.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ის თავის პოზიციას ასაბუთებს შესაბამისი არგუმენტებით. კანდიდატის სამართლებრივი პუბლიკაცია და გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. მას აქვს 13-წლიანი პროფესიული გამოცდილება.
წერის უნარი	19	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად და გასაგებად. მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ის აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და გამართულად. მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, შორმისმოყვარე და მიზანდასახული. მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ის არის სწრაფი და პროდუქტიული, რაც დასტურდება მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ის, ასევე, ღიაა სიახლების მიმართ. კანდიდატი აქტიურად ესწრება სამართლებრივ საკითხებზე გამართულ ტრენინგებსა და სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი არის სამართლებრივი წიგნის თანაავტორი. ამასთან, ის ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. კანდიდატი ხშირად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს.
ქულათა ჯამი	**93**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც		

	მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი კერატიშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი კერატიშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება ვადაგადაცილებული ფინანასური ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. უნდა აღინიშნოს, რომ 2017-2020 წლების განმავლობაში კანდიდატს არ დაჰკისრებია ადმინსტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინსტრაციული სახდელი რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენისათვის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კერატიშვილი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის პრინციპული და სამართლიანი, რასაც ადასტურებენ მისი კოლეგები. მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

	მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, მას არ გამოვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, გიორგი კერატიშვილი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა;</u>** გიორგი კერატიშვილს სათანადოდ აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. მისი ქცევა და იმიჯი შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. კანდიდატი სათანდოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად. ასევე, მის მიმართ არ ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;</u>** გიორგი კერატიშვილს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კანდიდატის კოლეგები მას აფასებენ დადებითად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობას, თავდაჭერილობას, კორექტულობას, გულისხმიერებას, კომპეტენტურობას, კეთილსინდისიერებას, შრომისმოყვარეობას, სამართლიანობას, მაღალ პროფესიულ პასუხისმგებლობას და ა.შ.. რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ გიორგი კერატიშვილს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ გიორგი კერატიშვილი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების

	პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ გიორგი კერატიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> <u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* <u>**სამართლის ნორმების ცოდნა;**</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდელობას. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამრთლოს პრეცედენტული სამართლის სფეროში. გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა როგორც სამართლებრივი, ისე ზოგადი სახის შეკითხვები. კანდიდატი ცდილობდა მაქსიმალურად ამომწურავად განეხილა და დაესაბუთებინა მისთვის დასმული საკითხები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მან ვერ შეძლო სრულად ამოეწურა საკითხი, ასევე მან დააფიქსირა, რომ ვერ გასცემდა გარკვეულ საკითხებს პასუხს. მაგალითად: კონსტიტუციის თანახმად რა საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება რეფერენდუმის გარეშე, აქვს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს მექანიზმი, რომ შეამოწმოს საკონსტიტუციო ცვლილებების კონსტიტუციურობა. კანდიდატმა ვერ ამოწურა ამნისტიასა და შეწყალებასთან დაკავშირებული საკითხები.

	საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვების განხილვის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაალოებით 84%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;</u>** კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. კანდიდატის სამართლებრივი პუბლიკაცია და გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. ამასთან, კანდიდატს აქვს კარგი კვლევითი უნარები. მისი განაჩენები სტრუქტურულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მას აქვს 13-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 6-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. **<u>წერის უნარი;</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებებს წერილობით აფიქსირებს ნათლად და გასაგებად. ნაშრომებში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ის აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და გამართულად. მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური, შორმისმოყვარე და მიზანდასახული. მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ის არის სწრაფი და პროდუქტიული, ამასთან, ეფექტიანად უძღვება მის წარმოებაში არსებულ საქმეებს რაც დასტურდება მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების 100%-იანი დაცვით. აღნიშნული მეტყველებს კანდიდატის მიერ დროის სწორი განაწილების უნარზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>**

	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ასევე ღიაა სიახლეების მიმართ. კანდიდატი აქტიურად ესწრება სამართლებრივ საკითხებზე გამართულ ტრენინგებსა და სემინარებს. მას გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. 2017-2018 წ.წ. იყო პოლიტიკური სკოლის მსმენელი. კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, ის არის სამართლებრივი სახელმძღვანელოს თანაავტორი, ამასთან ის ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.